ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №588063

ნომერი: AR1115914

თარიღი : 13.03.2013

გაცემის თარიღი : 14.03.2013

გაცნობის თარიღი : 14.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დელისის III ქუჩა / ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისის III , მიმდებარედ , ნაკვეთი 01/250 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურთაზ ხეცურიანი პ/ნ 01011043013
- თბილისი ჩაისუბნის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.11.2012წ. #420822 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03/13/2013 წელს AR1115914 განცხადებით მომართა მურთაზ ხეცურიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის მიერ 08.11.2012 წ. #420822 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საკადასტრო გეგმის დამატება და მიწის ნაკვეთის ფართობის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.11.2012წ. #420822 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, დელისის III ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად #420822 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა #01.14.15.001.102 საკადასტრო ერთეულზე (ფართობი: 734 კვ.მ). დამკვეთის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882013084301, საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 06.03.2013 წ; ამონაწერის მომზადების თარიღი: 12.03.2013წ; საკადასტრო კოდი №01.14.15.001.267, ფართობით: 871 კვ.მ.), რომლის თანახმადაც მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შედეგად გაიზარდა საპროექტო ტერიტორიის ფართობი და შეიჩვალა მისი საკადასტრო კოდი. ამასთან, რადგანაც საჯარო რეესტრის ამონაწერში, მიწის ნაკვეთის 137 კვ.მ–ზე ფიქსირდება ვალდებულება – შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. გამომდინარე აქედან, შემდგომ ეტაპზე დაცული ან ამოღებული უნდა იქნეს აღნიშნული ვალდებულება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, შეიტანოს ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.11.2012წ. #420822 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში მიწის ნაკვეთი ფართი მიეთითოს – 871 კვ.მ, საკადსატრო კოდი – №01.14.15.001.267;

2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.11.2012წ. #420822 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის №882013084301, საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 06.03.2013 წ; ამონაწერის მომზადების თარიღი: 12.03.2013 წ; საკადასტრო კოდი №01.14.15.001.267, ფართობით: 871 კვ.მ.);

3. შენიშვნის სახით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.11.2012წ. #420822 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს – მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ ეტაპზე დაცული ან ამოღებული უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება;

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.11.2012წ. #420822 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.